საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7382
02/12/2022

7382-21-2-202212021221

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6084 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, მდ. ალგეთის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის ანგარიშში სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2022 წლის 3 ოქტომბრის №21/5804 წერილში მითითებული შენიშვნები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშის ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემულია 1%-იანი უზრუნველყოფის კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმე, მაშინ, როცა საპროექტო ნაგებობა (ბეტონის კედელი და ქვანაყარი ბერმა) გათვლილია 3%-იან უზრუნველყოფაზე. საჭიროა პროექტში მოცემული იყოს საანგარიშო უზრუნველყოფის შესაბამისი ჰიდროლოგიური მახასიათებლები;
- შესაბამის განმარტებას საჭიროებს პროექტში გამოყენებული წყლის ხარჯის სხვადასხვა საანგარიშო უზრუნველყოფა (2% და 3%);
- ქვანაყარი ბერმა მდებარეობს მდინარის მრუდხაზოვან უბანზე, შესაბამისად, აღნიშნულ უბანზე ჰიდროლოგიური მახასიათებლები განსხვავებული უნდა იყოს კალაპოტის სწორხაზოვანი უბნისაგან. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო უზრუნველყოფის ხარჯის შესაბამისი კალაპოტის წარეცხვის გაანგარიშება;
- შესაბამისობაში მოსაყვანია საპროექტო ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილის მასშტაბი (მაგალითად, ქვანაყარი ბერმის ამაღლება დატბორვის დონიდან ნიშნულების მიხედვით დაახლოებით 0,5 მეტრია, მაშინ როდესაც გეომეტრიულად გაცილებით უფრო მეტად არის აწეული). გარდა ამისა, დასაკორექტირებელია განივი კვეთების ნიშნულები (მაგალითად, პკ 1+20, 1+40, 1+60 კალაპოტის ზედაპირის ნიშნულები უფრო მაღალია ვიდრე დატბორვის დონეები და ა.შ.);
- ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს ქვანაყარი ბერმის ამგები ლოდების ფრაქციული შემადგენლობა;

- ნაგებობის ძირის ნიშნულები უნდა დადგინდეს კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმის მაქსიმალური მნიშვნელობის მიხედვით;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო